ნ. ჭიაბრიშვილი, ქ. ჭიაბრიშვილი

ეკონომიკა

დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ
საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ

თბილისი

2011

წიგნი წარმოადგენს ერთგვარ გაგრძელებას IV კლასის დამხმარე სახელმძღვანელოსი „ეკონომიკის ანბანი“. მასში პოლულარული ენით უფრო გაღრმავებულად მოთხრობილია ძირითადი ეკონომიკური ცნებების, კატეგორიებისა და მოვლენების შესახებ.

წარმოდგენილია მრავალფეროვანი სავარჯიშო მასალა.

მეცნიერ-რედაქტორები:

ვლადიმერ პაპავა — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ივანე კალაძე — პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:

ლია გიგაური — თბილისის 65-ე საჯარო სკოლის დირექტორი, აშშ ეკონომიკური განათლების ეროვნული საბჭოს სერტიფიცირებული ტრენერი

აკაკი ნარგიზიშვილი — პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ISBN 99940-67-41-9

წიგნს ვუძღვნით ორ უძვირფასეს ადამიანს – ჩვენს მშობლებს

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ეკონომიკის შესწავლა მოითხოვს აქლემის ამტანობასა
და წმინდანის მოთმინებას.
ა. ჰაილბრონერი

ამ წიგნს რომ ვწერდით, ერთი მთავარი პირობა უნდა შეგვესრულებინა: „წიგნი მოსაბეზრებელი არ უნდა იყოს!" არ ვიცი რამდენად მოვახერხეთ მისი შესრულება. თავად განსაჯე!

სანამ ნებისმიერი თავის წაკითხვას დაიწყებ, ალბათ, ჯერ ფურცლების რაოდენობას დაითვლი, მაგრამ ძალიან გთხოვთ, ნუ შეგაშინებს ზოგიერთი თავის სიდიდე. ვეცადეთ საინტერესო და თან გასაგები გამოსულიყო და გვაპატიე, თუკი ამ მცდელობის გამო დიდიც გამოვიდა. შენ შეგიძლია (დარწმუნებული ვართ მასწავლებელიც ასე მოგთხოვს) ასეთი დიდი თავები ორ ან სამ ნაწილად გაყო და ისე წაიკითხო.

არ შეგეშინდეს, თუ სწავლისას დაიღლები და მოგეჩვენება, რომ, მიუხედავად ამდენი მეცადინეობისა, ჯერ კიდევ არაფერი იცი. აი რა აქვს ნათქვამი საკუთარ თავზე ერთ-ერთ ცნობილ ეკონომისტს ალფრედ მარშალს: „რაც უფრო მეტად ვუღრმავდებოდი ეკონომიკური მეცნიერების შესწავლას, მით უფრო მეტად ვხვდებოდი, რომ ჩემს მიერ ამ სფეროში მიღებული ცოდნა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მე მჭირდება; და ახლა, მხოლოდ ამ მეცნიერების თითქმის 50 წლიანი შესწავლის შემდეგ, ვხვდები, რომ მაქვს გაცილებით ნაკლები ცოდნა, ვიდრე მაშინ, როცა მის სწავლას ვიწყებდი".

ნებისმიერი მეცნიერება ხომ ისეთივე ამოუწურავია და საინტერესო, როგორც თითოეული ადამიანი. მთავარია, არ დაგეზაროს და ფარ-ხმალი არ დაყარო, როცა სწავლისას რაღაც რთულად მოგეჩვენება.

წიგნში, გამარტივების მიზნით, უცხოური სიტყვების მხოლოდ ის მნიშვნელობა არის ახსნილი, რომელიც ტექსტის მიხედვით აზრობრივად იქნებოდა შენთვის საინტერესო. თუ ამა თუ იმ სიტყვის სხვა მნიშვნელობაც დაგაინტერესებს, შეგიძლია თავად ნახო უცხო სიტყვათა, ან ქართული ენის განმარტებით, ან ეკონომიკურ ლექსიკონებში.

ყოველი თავის დასაწყისში სკოლის შენობაა, რომელიც ტაძარსაც ჰგავს, რადგან სკოლაში, ისევე, როგორც ეკლესიაში, სულიერ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ ადამიანები.

ბუ თუ შეგხვდება, ნიშნავს, რომ მის გვერდით ოთხკუთხედში ჩაწერილი სიტყვა წიგნის ბოლოში მოთავსებულ ლექსიკონში უნდა მოძებნო და შენი ხელით ჩაწერო შესაბამისი განმარტება. ჩვენი აზრით, ეს ახალი სიტყვების უკეთ დამახსოვრებაში მოგეხმარება.

ამ წიგნის მხატვარი შენ იქნები და თუ კურდღელს დაინახავ, ეს ნიშნავს, რომ დასახატი გაქვს. ეცადე, შენი ნახატები საუკეთესო იყოს.

ეს კითხვებისა და დავალებების ნიშანია და ეცადე, ყურადღებით შეასრულო ხოლმე ყველა დავალება. ეს კითხვები და დავალებები თემის უკეთ გაგებასა და დამახსოვრებაში მოგეხმარება.

ეს დახვავებული წიგნები სულ სამ ადგილზე შეგხვდება და აღნიშნავს ორ მნიშვნელოვან ეკონომიკურ კანონს – მოთხოვნისა და მიწოდების კანონს.

აი, სულ ეს არის, რისი თქმაც გვინდოდა. იმედი გვაქვს, რომ ამ წიგნით ბევრ საინტერესოს გაიგებ და ცოდნას გაიმდიდრებ.

საინტერესო და ხალისიან სწავლას გისურვებთ!

შინაარსი

წინასიტყვაობა

I თავი. რას, რატომ და როგორ ვირჩევთ? 7

II თავი. რატომ და რას აწარმოებენ ადამიანები? 13

III თავი. თუ შრომას გავინაწილებთ, ნაყოფიერება და მწარმოებლობა იზრდება 16

IV თავი. რა? ვინ? როგორ? ვისთვის? - ეკონომიკური სისტემები 22

V თავი. რატომ არის საჭირო ეკონომიკური სისტემების „შერევა“? 28

VI თავი. ვინ უნდა მოუაროს თუთიყუშს, ანუ ვინ იხდის საზოგადოებრივი საქონლისა და მომსახურების წარმოების საფასურს? 33

VII თავი. როგორ მოგზაურობს ფული, ანუ ეკონომიკური საქმიანობის წრებრუნვა 37

VIII თავი. რა ფუნქციებს ასრულებს ფული „მოგზაურობისას“? 42

IX თავი. რა ღირს ფული? 47

X თავი. გავხდე თუ არა მეწარმე? 51

XI თავი. რატომ უნდა იცოდე „მინიატურული საზოგადოების“ ეკონომიკა? 57

XII თავი. ვინ მართავს ბაზარს? 65

XIII თავი. მოთხოვნის კანონი 69

XIV თავი. მიწოდების კანონი 73

XV თავი. რა არის საჭირო იმისთვის, რომ მიმწოდებლები და მომხმარებლები მორიგდნენ? 77

XVI თავი. ბანკი და მისი საქმიანობა 84

XVII თავი. ვის რა ეკუთვნის ქვეყანაში? 89

ლექსიკონი 95

<u>რას გაიგებ ამ თავში და რაში გამოგადგება ეს ცოდნა:</u>

- ისწავლი ეკონომიკის ერთ-ერთ განსაზღვრებას;
- ისწავლი, რომ შეზღუდულობასა (არასაკმარისობას) და არჩევანს შორის არის კავშირი და გეცოდინება მიზეზი იმისა, თუ რატომ არა გაქვს ყველა სასურველი ნივთი;
- ისწავლი, რომ შენს ნებისმიერ არჩევანს აქვს ალტერნატიული (შედარებითი) ღირებულება და ამიტომ ყოველთვის მნიშვნელოვანია სწორი გადაწყვეტილების მიღება;
- ისწავლი სწორი არჩევანის გაკეთების ერთ-ერთ გზას, რაც მომავალში ნებისმიერი ცხოვრებისეული არჩევანის გაკეთებაში მოგეხმარება.

I თავი. რას, რატომ და როგორ ვირჩევთ?

ეკონომიკა - არჩევანია

ეკონომისტები ეკონომიკის ბევრ განსაზღვრებას გვთავაზობენ. თუ დაინტერესდები და ეკონომიკის რამდენიმე წიგნს გაეცნობი, ამაში თავად დარწმუნდები. მოდი, ამჯერად ასეთი განსაზღვრება გამოვიყენოთ:

<u>ეკონომიკა –</u>

ეკონომიკური მოთხოვნილებები (სურვილები) ყოველთვის მეტია მათ დასაკმაყოფილებლად საჭირო შესაძლებლობებზე, ამიტომ <u>შეზღუდულობა</u>, ანუ რაღაცის არასაკმარისი რაოდენობა ნებისმიერი ადამიანის, ოჯახის, საზოგადოების, ქვეყნის, მსოფლიოს პრობლემაა. შეზღუდულია დრო გაკვეთილზე, წყალი უდაბნოში და არამარტო იქ, ჰაერი კოსმოსში და არამარტო იქ, ბიუჯეტი სახელმწიფოში და ა.შ.

<u>შეზღუდულობა –</u>

როგორ შეიძლება ეს პრობლემა გადავჭრათ? ყველაზე ჭკვიანური, ალბათ, ასეთი პასუხია: რაკი არ შეიძლება გქონდეს ყველაფერი სასურველი ერთად, აუცილებელია ვისწავლოთ არჩევანის გაკეთება. შეზღუდულობა გვაიძულებს გავაკეთოთ არჩევანი ვარიანტებს,

შესაძლებლობებს, ანუ როგორც ეკონომისტები ამბობენ, **ალტერნატივებს** შორის. არჩევანს აკეთებენ როგორც ცალკეული ადამიანები (ინდივიდები), ისე ოჯახები, საზოგადოებები და სახელმწიფოები.

ალტერნატივა –

ჩვენი პრობლემა მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

მოთხოვნილებები > შესაძლებლობებზე

↓

შეზღუდულობის პრობლემა

↓

არჩევანი

არჩევანის გაკეთება ძალიან რთულია და დროსა და ფიქრს მოითხოვს. ყოველთვის, როცა რაღაცას ვირჩევთ, ჩვენ ეკონომიკურ გადაწყვეტილებას ვღებულობთ. ჩვენთვის ორი საუკეთესო ვარიანტიდან უარს ვამბობთ ერთ-ერთ საუკეთესო ვარიანტზე – ალტერნატივაზე. თითოეულ ჩვენს არჩევანს, ეკონომიკურ გადაწყვეტილებას აქვს თავისი ფასი, ანუ **ალტერნატიული ღირებულება**. აუცილებლად მიაქციე ყურადღება, რომ შენ შეიძლება ორზე მეტი ალტერნატივა გქონდეს, მაგრამ ალტერნატიული ღირებულება შენთვის **მხოლოდ** ერთ საუკეთესო ვარიანტს აქვს. გადაწყვეტილების მიღებისას მრავალი ვარიანტიდან მხოლოდ ორ საუკეთესო ალტერნატივას იტოვებ და მათ შორის აკეთებ არჩევანს. ნებისმიერი არჩევანის ღირებულება განისაზღვრება იმ დანარჩენი არჩევანით, რომელზეც უარი ვთქვით. ალტერნატიული ღირებულება არის ორი საუკეთესოდან გამოუყენებელი, უარნათქვამი („გადაგდებული“) საუკეთესო არჩევანის ღირებულება.

ალტერნატიული ღირებულება –

მოდი, ასეთი მაგალითი განვიხილოთ! დაბადების დღისათვის გინდა გქონდეს მოდური ბოტასიც და სათამაშო კონსტრუქტორიც, მაგრამ თუ არასაკმარისი ფულის გამო აირჩევ სათამაშო კონსტრუქტორს, ბოტასი იქნება შენი არჩევანის - კონსტრუქტორის - ალტერნატიული ღირებულება.

შეიძლება გაგიჩნდეს ასეთი კითხვა: იქნებ მე ორი კი არა მეტი რამ მინდა. მეტი ალტერნატივა მაქვს? პასუხი ასეთია: სამი, ხუთი და თუნდაც ოცი ალტერნატივა აუცილებელია 2 ყველაზე სასურველ ალტერნატივამდე შეამცირო, რომ არჩევანის გაკეთება გაიადვილო.

არჩევანი

არჩევანის, ანუ

ალტერნატიული ღირებულება

როგორ უნდა გავაკეთოთ საუკეთესო არჩევანი? ამერიკელი მეცნიერები გადაწყვეტილების მიღების ასეთ 5-საფეხურიან პროცესს გვთავაზობენ, რომელიც ვფიქრობთ, შენც დაგეხმარება.

<u>I საფეხური:</u> უნდა განსაზღვრო რა მიზანი გაქვს, რა გინდა – გადაწყვეტილების მიღებისას ძალიან მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა პრობლემა გაქვს გადასაჭრელი. ჩვენი მაგალითის მიხედვით: გინდა ბოტასიც და კონსტრუქტორიც.

<u>II საფეხური:</u> უნდა ჩამოთვალო ალტერნატივები, ანუ ის ვარიანტები, რომელიც შენს ხელთაა, რომელთა შორისაც არჩევანი უნდა გაკეთდეს. ჩვენი მაგალითის მიხედვით: ბოტასი თუ კონსტრუქტორი.

<u>III საფეხური:</u> უნდა განსაზღვრო <u>კრიტერიუმები</u> – კრიტერიუმები არის შეფასების ის საზომები, რომელიც გეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში. ეს ის საზომია, რომლითაც აფასებ შენს არჩევანს. ჩვენს შემთხვევაში ბოტასის „საზომები" ასეთი შეიძლება იყოს: ლამაზია, მოდურია, სარბენად და სათამაშოდ მოხერხებულია და თავს მოვიწონებ და სხვა. კონსტრუქტორის კრიტერიუმები კი ასეთი შეიძლება იყოს: კარგად გავერთობი, ტექნიკურ აზროვნებას ვისწავლი, ბევრ საინტერესო რამეს ავაწყობ, მეგობრებთან თავს მოვიწონებ და სხვა.

<u>კრიტერიუმი</u> –

<u>IV საფეხური:</u> უნდა შეაფასო ალტერნატივები – გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებლად უნდა შეაფასო ალტერნატივები შენი კრიტერიუმების მიხედვით. იფიქრო და განსაზღვრო, რომელი ალტერნატივა რა ნიშნის მიხედვით არის შენთვის სასარგებლო, საინტერესო, მნიშვნელოვანი. დავუშვათ, მნიშვნელოვანია ის, რომ კონსტრუქტორი ძალიან საინტერესოა და კარგად გაერთობი.